





7.2.2022

# დაკარგული გავავა

(ისტორიული ამბავი)

38/40

გამოცემა

ვახტანგ კილაძის მიერ.

1892 წელი თბილისი, 1084 გრ. VI?. ვ.

0328. 132 სიც სიც.

7.2.2022

ტფილისი

სტამბა, შ. გ. ქ. ამხ—სა ჭ ТИПОГРАФІЯ ГР. ИЗ. Т - СВА

1892

7.2.2022



Дозволено цензурою, Тифлисъ. 9 Ноября 1892 г.

დაკარგული ბავშვი

## დაკარგული ბავშვი

### I



ე რომ პატარა ვიყავი, ჩემმა მშობლებმა სკოლაში მიშაბარეს. იქ რა-  
მდენსამე ხანს დავრჩი. ჩემი მასწავლებელი ძალიან კარგი კაცი იყო,  
უველას კარგად ასწავლიდა; უოველ-  
თვის იმას ცდილობდა, შეგირდი  
ოსტატს სჯობნებოდა. მაგრამ  
მართალი გითხრათ, მე საშინელი ცელქი  
და ცულლუტი ვიყავი: არც ჩემი მას-  
წავლებლის დარიგება მესმოდა არც წიგნი  
და გაკვეთილები მიყვარდა. უოველთვის

ჩემს ტოლებში თამაშობა მავონდებოდა: „თვალ-ხუჭინა“, „ძერა-დიდია“, „ბურ-თაობა“, „კეკე-მალულა“, „ქუდი-დავლა“, „ჩილიკა-ჯოხი“, „ასკინილა“ და სხვანი. დრო კი მიფრინავდა და ნაცვლად წერა-კითხეის სწავლისა მე სულ ცულლუტობას და თამაშობას ვეჩვეოდი.

ჩემი მშობლები ერთობ მიწყრებოდნენ; სულ იმას მეუბნებოდნენ: კარგად ისწავლე, გაიზრდები — გამოგადგებაო; ამ დროში უსწავლელი კაცი ვერ გამოდგებაო... მე იმათ დარიგებას ყურს არ ვუგდებდი. ჩემს მშობლებზე უარესად ჩემი დიდი-დედა, მი-ჯავრდებოდა და თანაც სულ იმას მეუბნებოდა: წიგნის სწავლა შეიყვარე თორემ ბოლოს ინანებო.

როტა კი დაღამდებოდა, სანთელს ავან-თებდი, ცოტა ხანს შემდეგ ჩვენები ყველა ერთად შეგროვდებოდნენ და ვახშამს შე-

უდგებოდნენ; ვახშამს შემდეგ — საუბარსა. ჩემი ბებია, დიდედა-კი სულ იმას მარივებდა, რომ კარგად მესწავლა... ხშირად ზღაპრებ-საც მომიყვებოდა ხოლმე საბა ღრბელიანის „სიბრძნე სიცრუიდამ“, „ვახტანგ მეფის „შილილა და მანიდან“, „ვარშაყიანიდამ“, „შამარდიანიდამ“ და სხვა ამისთანა ძველ წიგნებიდამ.

ერთხელ — აღარ მახსოვეს კარგად, როდის — ჩემის მასწავლებლისაგან სწავლის ცუდი ნიშანი მიეიღე. მს რომ სახლში შემიტყვეს, დედა და მამა ძალიან გაცხარდნენ, დიდედამაც თავი ჩაჰკიდა და ძველებურად, დარივება დამიწყო. მე ჩემთვის ჩუმად ვიჯექი კუთხეში, ტახტზე, მაგრამ გონება მაინც სულ კარში, ბიჭებთან მქონდა გართული; სულ იმას ენატრობდი: დედამა მალე გარედ გასულიყვნენ, რომ მეც გავსულიყავ და ჩემს ტოლ ბიჭებში უზომო ცულლუტობა დამეწყო.

დიდება ჩემი მოეპყა შმდევ ძველებურს  
ამბავსა:

— შართველების მეფის ორაკლი მეორის  
ღროს, ტფილისში, ანტონ კათალიკოზის  
სკოლაში სწავლობდა ერთი ხელოსანი  
კაცის შვილი. უმაწვილი იყო ცელქი, უფ-  
რო ცელქობას ეტანებოდა და ამისათვის  
ვერ სწავლობდა, თუმცა მასწავლებლები  
ყოველს საშუალებას ხმარობდნენ მის გა-  
სასწორებლად, ყველა ლონისძიება ამაოდ  
დარჩა. რამდენიმე ხნის შემდევ კათალიკო-  
ზის თანხმობით ის შაგირდი დაითხოვეს და  
იმის ალაგას სხეა მიიღეს.

სკოლაში ყოფნას ამ ყმაწვილისათვის  
ცუდად მაინც არ ჩაუვლია: იმან შეისწავ-  
ლა წერა კითხვა, ქართული ზღაპრები, შაი-  
რები, ლოცვები და სხვ... რამდენიმე ხანი

ეს ცელქი ზიგლა—ეს იყო იმის სახელი—შინ  
დარჩა. გაიარა ცოტა ხანმაც და მშობ-  
ლებმა ერთ ჭონს მააბარეს. აქ რამდენსამე  
ხანს დაჰყო მან და ხელობასაც ხალისია-  
ნად შესწავლა დაუწყო.

---

—

## II

აისის ერთ მშვენიერ დილას, 1766  
წელს, როდესაც მზემ თავისის ბწყინ-  
ვალე სხივებით ტფილისის არე-მარე  
და გულ-ამაყად მდგომარე მეტეხი, სიონის  
ეკკლესია და ნარიყალის ციხე შემოსა, იმ  
მშვენიერს დილას მთელს ტფილისში გასმა  
ხმა, რომ ჭონის შავირდი, ზიგლა დაიკარ-  
გაო... დაიწყეს ძებნა. ჩალაქის ერთ მხარეს  
ზიგლას მშობლები და ოსტატი ეძებდნენ  
და მეორე მხარეს ნაცნობები. დაღამდა,  
მაგრამ ზიგლა მაინც არსად არ გამოჩნდა.  
ამ შემთხვევამ არა თუ მარტო მისი მშობ-  
ლები, მთელი ტფილისის ხალხიც შეაწუხა.  
შეიქმნა ჩოჩქოლი: ყველა იმას ამბობდა,  
რომ გიგლა წყალში ჩავარდაო—იმ დროს  
წყალ-დიდობა ყოფილა. ამას მით უფრო

ამტკიცებდნენ, რომ ოსტატი ხშირად გზავნიდა ზიგლას წყალზედ ორის ლიტრით... მაშინდელს დროში, თურმე, ოსტატის-თვის დუქანში წყალს შაგირდები ეზიდებოდნენ.

ეჭვით სავსე ზიგლას მშობლები ოსტატს ედავებოდნენ თავიანთ შეილსა.

— წუხელ სალამოს მე ის წყალზე არ გამიგზავნია, დაბინდებისას დავითხოვე, ეფიცებოდა მშობლებს ოსტატი.

— თუ დაითხოვე, მაშ სად არის ჩეენი შეილი? მწუხარებით ეკითხებოდნენ ოსტატს მშობლები.

— ღმერთია მოწამე, კათალიკოზის წინაშე დავითიცავ, სიონის წინაშე მუხლს მოვიდრევ, კათალიკოზის წყევა-შეჩენებას მიეიღებ, თუ ამას ტყუილს ვაშბობდე!...

ზიგლას მშობლებმა მაინც არ ირწმუნეს.

მესამე დღეს გიგლას მშობლებმა მიმართეს სამეფო სამმართველოში და ისურვეს

მეფის მსაჯულის ნახვა. მსაჯულმა მიიღო  
ისინი სამეფო — საბჭო დარბაზში. ბიგლას  
მშობლებმა მისცეს სალამი და მოახსენეს  
შემდეგი:

— დიდო ბატონო და სიმართლის მსა-  
ჯულო! ზუშინ წინ სალამოს ჩვენ დაგვე-  
კარგა მცირე წლოვანი ვაჟი, სახელად  
ბიგლა. მს მესამე დღეა ვეძებთ და ვერსად  
ვიპოვნეთ: ყველა იმას ამბობს, რომ ბიგლა  
მისმა ოსტატმა წყალზე გაგზავნა და წყლის  
ამოლების ღროს წყალში ჩავარდაო.

— ვისთან იყო შევირდათ თქვენი ყმა-  
წევილი? ჰკითხა მსაჯულმა:

— ჭონ-ხანაში, ბატონო, ერთ ჭონთანა,  
სახელად პავლეს უწოდებენ! მიუგებს მშობ-  
ლებმა.

— მერე ოსტატი უარს ამბობს? არ გა-  
მიგზავნიაო?

— დიალ, ბატონო, სულ უარზე სდგას.  
მე ის წყალზე არ გამიგზავნიაო.

— ქარგი, ოქვენ დღეს შინ წადით, ხეალ  
დილით გამოცხადდით აქა. დღეს ჭონს  
უწყებას გავუგზავნით და ხეალ ისიც აქ  
იქნება და ოქვენს საქმეს გავარჩევთ.

— იმედი გვაქვს, მსაჯულო სამართლი-  
საო, რომ შეგვიბრალებთ და სამართალს  
მოგვცემთ! მიუგეს გიგლას მშობლებმა.

შემდეგ მსაჯულის თანაშემწემ დასწერა  
ჭონის ცნობიერება, იმის სახელი და გვა-  
რი, გიგლას მშობლებმაც თაყვანი სცეს  
მსაჯულსა და დაბრუნდნენ შინისაკენ

გიგლას ოსტატს იმ დღესვე შეატყობი-  
ნეს და მეორე დღისთვის მიიხმეს სამეფო  
საბჭოში მსაჯულისა და მეფის წინაშე სა-  
ქმის გასარჩევად.

დაწიშნულს დღეს სამეფო საბჭოში გა-  
მოცხადდა გიგლას ოსტატი და მშობლე-  
ბიც. ცოტა ხანს უკან შემობრძანდნენ:  
სამეფო მსაჯული, ბოქაულთ უხუცესი,  
ესე იგი მაშინდელი „პროკურორი“, მუ-

შრიბი — მაშინდელი მწერალი; ამათ მო-  
ჰყვნენ სხვა მრავალი სამეფო და საერო  
მოსამართლენი, რომელნიც კი საჭირონი  
იყვნენ ამ საქმის გარჩევისათვის. ~~მსაჯულ-~~  
~~ნი იყვნენ ამ საქმის გარჩევისათვის.~~ მსა-  
ჯულნი დალაგდნენ, დაიწყეს წინ ვახ-  
ტანგ მეფის „სამართლის წიგნი“, მალაქია  
კათალიკოზის დაწერილი, პლბულასი გი-  
ორგი მეფისა, ურიული, ბერძნული და  
სომხური; ახსენეს ღმერთი, შართველთა  
განმანათლებელი წმ. ნინოს სახელი და  
დაიწყეს გამოძიება:

— ~~უსტა~~ პავლე! თქვენ გიჩიციან, რომ  
ამათი (მიუთითებს გიგლას მშობლებზე)  
შვილი თქვენთან ყოფილა შაგირდათ და  
ეს მეოთხე დღეა რაც აღარა სჩანს, სად-  
ღაც დაკარგულა, უთხრა მსაჯულმა ოს-  
ტატს-ჭონს.

— მერე, მე რა ვქნა, თქვენი ჭირიმე?  
იყითხა ჭონმა მოწიწებით.

— შენ ის უნდა მოახერხო, შვილო, რომ მოძებნე ამათი შვილი და ჩაბარე ამას მოითხოვს სამეფო კანონი, მიუგო მსაჯულმა.

— ვერა, ბატონო! მე მაგას ვერ შევძლებ; იმისი პოვნა ჩემი საქმე არ არის. მე რაც შეძებლო ვიმეცადინე: ვეძებე, მაგრამ ვერსად ვნახე. სწორედ, როცა გაისმა ხმა ზიგლა დაიკარგაო, იმის წინა დღით, სალამოს, დავითხოვე და შინ წავიდა. ეს ამბავი მე იმ დღესვე ჩვენს უსტაბაშიაც გამოუცხადე.

— თქვენ გაბრალებენ იმას, რომ დაკარგვის წინა დღით ორი ლიტრით წყალზე გავიგზავნიათ, წყალში ჩავარდნილა და დამრჩვალა, უთხრა მსაჯულმა.

— არა, დიდო მსაჯულო! სულ ტყუილი ჭორებია ესენი. მიუგო მოწიწებით ჭონმა.

— უველანი შენზე ამბობენ: შენის მი-  
ზეზით დაიკარგა ის ყმაწვილიო. ამიტომ  
გირჩევ სისწორითა სთქვა, თორემ სამეფო  
სამართალში მიეცემი და მეფე ირაკლიო  
შეიტყობს.

— მაღლა ლმერთს გაძლევთ მოწმათა  
და ძირს დედა-მიწასა, რომ მე ამათი შეი-  
ლი არც მტკვარზე გამიგზავნია და არც  
ვიცი სად არის. სიონთა ღვთის-მშობლის  
წინაშე დაეიფიცავ და კათალიკოზის კრულ-  
ვას მიეიღებ, რომ მე იმ ყმაწვილის დაკარ-  
გვაში არავითარი ბრალი არა მაქვს, მიუ-  
გო ჭონმა.

ბევრის გამოძიების შემდეგ ჭონი და  
ბიგლას მშობლები დაითხოვეს სამმარ-  
თველოდამ და მეორე დღისთვის დაიბარეს  
განჩინების მოსასმენად.

ოსტატი და ბიგლას მშობლები დაბ-  
რუნდნენ შინ.

მეორე დღეს ისევ გამოცხადდნენ სამეფო დარბაზში. შემობრძანდნენ მსაჯულნიც. ჟველა იმას ამტკიცებდა, რომ ყმა-წვილი წყალში დაირჩოვო. „მთელი ქალაქის ხალხი სულ ამას ამტკიცებსო“, გაისმოდა ყოველ მხრივ ხმა.

საქმის გამოძიების შემდეგ, ჭონი დამნაშავეთ სცნეს და ამიტომ ოთხი თვევით ნარიყალის ციხეში ჯდომა აკუთვნეს. ზან-ჩინება საქვეყნოდ გამოცხადდა.

მეორე დღეს ჭონი ჩასუს კიდეცა და ზიგლას მშობლებმაც ერთხანს კიდევ ბევრი ეძებს, მაგრამ ვერსად იპოვეს. იმედ-გა-დაწყვეტილები მიეცნენ გლოვასა, მწუხა-რებასა; შავები ჩაიცვეს და საეკკლესიო წესებიც გადუხადეს სამუ დამოდ დაკარგულს შვილს.

ზოგნი ამის დაკარგვას ებრაელებს სწა-მებდნენ, ესენმა მეფეს ფიცით მოახსენეს, რომ ჩვენ ასეთი საქმეები არც ჩაგვიდენია და

არც ჩავიდენთო; ამას უბრალოდ გვწამებენო. მეფემ ამათი ფიცი და სიტყვა ირწმუნა, რადგანაც ქართველი ებრაელნი სა-ქართველოში ყოველთვის უენებლად და მშვიდობიანად სცხოვრობდნენ.

ასე და ამ გვარად დაეკარგათ ზიგლა თავის მშობლესა.

18

## III



აქართველოში, წასრულ დროს, სა-  
თათრეთიდამ შემოდიოდენ ვაჭრები,  
სოვდაგრები და სხვანი. იმათ ჩვენში  
შემოჰკონდათ: ტყავები, ზაფრანა, ძვირფა-  
სი თველები, ჩითი, ძაფეულობა, სპარსული  
ხმელი ხილი, ქალალდი და სხვა, რაც კი  
ქართველებისათვის საჭიროებას შეადგენდა.  
იმ დროში ამ გვარი ვაჭარი ხალხისთვის  
საბინადრო სადგომებათ ქარვასლები იყო  
დაკეთებული. მარვასლების დიდ - ძალი  
ოთახები, როგორადაც სოვდაგართა და-  
საბინავებლად, აგრეთვე საქონლის შესა-  
ნახათაც იყო დანიშნული. ამ გვარი ქარ-  
ვასლების რიცხვი ისე დიდი იყო, რომ  
დღესაც კიდევ ბევრია დარჩენილი მაშინ-  
დელი გაშენებული ქარვასლები.

სწორედ იმ დროს, რა დროსაც გიგლა  
დაიკარგა, საქართველოში შემოვიდნენ  
მდიდარი სოველაკრები. რომელებმაც სავა-  
ჭროდ საქუდე ტყავები შემოიტანეს ჩვენ-  
ში. მს ვაჭრები ჩამოხტოვენ ერთს ქარვას-  
ლაში, დაიჭირეს დიდ-ძალი ოთახები და  
დაიწყეს ამ ტყავებით ჭონებში ვაჭრობა.  
ჭონებმა, იყიდეს თუ არა, დაიწყეს ამ ტყა  
ვების ღაზლების დახსნა და გადმოლავება.  
ჩამოდენიმე ტყავზე შენიშნეს ქართულის  
ასოებით მელით წარწერილი, საიდგანაც  
ამოიკითხეს შემდეგი: „მე, გიგლა ჭონის  
შაგირდი, ამა-და-ამ დღეს რომ დავიკარგე,  
აი ამ ტყავის პატრონ-სოველაკრებმა დამი-  
ჭირეს. მე დამწყვდეული ვარ ბატონიშვი-  
ლის ქარვასლის სარდაფების ერთ ოთახში,  
რომელიც ამ სოველაკრებს უჭირავთ. მი-  
შველეთ, თორემ დღეს თუ ხეალ, სპარ-  
სეთში წამიყვანენ. მსენი თავიანთ ქარვანს  
უცდიან, ისინი ამ ერთ კვირაში გაჩნდე-

ბიან და, თუ მანამდის არ მიშველეთ, სა-  
მუდამოდ დავიკარგები“.

ჭონებმა ამოიკითხეს ოუ არა, მაშინათვე  
გაავრცელეს ხმა... პატარა შაგირდებში  
შეიქმნა ჩოჩქოლი: „ზიგლა იპოვნეს, ზი-  
გლა იპოვნეს!.. სულ ამას ჰყიროდნენ და  
თანაც უხაროდათ, მაგრამ მაინც არა სჯე-  
როდათ... ღსტატებმა მაშინათვე შეატყო-  
ბინეს უსტაბაშსა. უსტაბაში თავის ამალით  
საჩქაროდ სამეფო მსაჯულთან წავიდა,  
ყველაფერი გამოუცხადა და თან ერთი  
ტყავიც უჩვენა, რომელზედაც ქართული  
წარწერა იყო... მსაჯულმა მაშინათვე მეფე  
ირაკლის მოახსენა. მეფემ დაიბარა კარის  
კაცები, სახლოთ-უხუცესი, მილახორი, ნა-  
ზირი, ქალაქის ნაცვალი და მრავალი  
სხვანიც და უბრძანა, რომ საჩქაროდ  
წადით ეს ყმაწვილი მოსძებნეთ და და-  
მჭერნი დაატყვევეთ; ყმაწვილი კი აქ მოი-  
ყვანეთო.

წავიდნენ სამეფო პირნი, ჩავიდნენ ქარ-  
გასლის ოთახებში და მართლაც ერთ  
ოთახში დამწყვდეული ზიგლა იპოვეს. ზი-  
გლას ძალიან გაეხარჯა. ამ დროს სოვ-  
დაგრები იქ არ იყვნენ, სადღაც მიიმალ-  
ნენ. ზიგლა წამოიყვანეს.

ამასობაში ზიგლას მშობლებსაც შეე-  
ტყოთ ეს ამბავი და ფეხშიშველა გამოქ-  
ცეულიყვნენ სახლიდამ ქარვასლისკენ. ზი-  
გლა გზაში შეხვდა მათ. წარმოუდგენელი  
იყო მათი სიხარული, დაკარგულის კი არა,  
მათთვის მკვდარი შევილის მოპოვებით.

სამეფო პირებმა ზიგლა სამეფო საბჭო-  
ში მიიყვანეს. მათვე მიჰყეა ზიგლას მშობ-  
ლები და ყველა ისინი, უინც იქ იყვნენ.  
ნაცვალმა ყველაფერი დაწვრილებით გარ-  
დასცა ირაკლი მეფეს. მეფემ მოისმინა და  
შემდეგ უბრძანა ნაცვალს:

— ნაცვალო! ეხლავ გაგზავნე კაცები და  
გაეცი ბრძანება, რომ ის სოვდაგრები და-  
იჭირონ და მოიყვანონ აქ.

— მხლავ, დიდებულო მეფევ, მიუკონაცვალმა და შეუდგაკაცების გავზავნას.

შემდევ ამისა მეფემ ჯიბილამ ამოილო ლურჯი აბრეშუმის ქისა და იქილამ რავ-დენიმე აბაზი აჩუქა ზიგლას და თანაც ეს ჰყითხა:

— რა გქვიან, შვილო, სახელად?

— ზიგლა, დიდო მეფევ.

— აბა, მიამბე, როგორ დაგიჭირეს სოფ-დაგრებმა?

— საღამოზე ოსტატმა დამითხოვა და მე შინ მიედიოდი. ბზაში ორი კაცი შე-მხედა. ერთმა ქართულად მითხრა: „წამო-დი ჩვენთან, ჩვენთან შენი ისტატის ერთი ტყავია და წაულე საჩქაროთაო.“ მე წავ-ყევი; რომ არ წავსულიყავ, ვიფიქრე: ვაი, თუ ხეალ შემიტყოს ოსტატმა, რომ უარი უთხარ და ტყავი არ წავილე-მეთქი და მერე ვინ იცის, როგორ მცემდა... მე წავყევი ქარვასლაში; იქ სარდაფის ერთ ოთახში

შემიტყუილეს, დამამწუვდიეს და აღარ გა-  
მოშიშვეს!...

— მერე არ ტიროდი, რატომ ყვირილი  
არ დაიწყე? ჰკითხა მეფემ.

— ვტიროდი კიდეცა, ყვირილითაც ბევ-  
რი ვიყვირე, მაგრამ, აბა, ვინ რას შეი-  
ტყობდა, ისე მოშორებით ვიყავი. მთელი  
ძირის სართულის სარდაფები სულ იმ სოვ-  
დაგრებს სჭერიათ.

— მერე არ გითხრეს, სად უნდა წაგი-  
ყვანოთო? ჰკითხა მეფემ.

— როგორ არა, ბატონო. მრთმა სოვ-  
დაგარმა მითხრა, რომ მე მდიდარი კაცი  
ვარო, უშეილოვო, ჩემი ცოლი კარგი ქა-  
ლიაო; სპარსეთში წაგიყვანთ და ჩვენ შვი-  
ლად აგიყვანთო; ყველა ჩვენი ქონების პა-  
ტრონი შენ იქნებიო.

— მშიერს ხომ არ გინახაედნენ? ჰკითხა  
მეფემ.

— არა, სულ კარგი და კარგი საჭმელები მოჰქონდათ, მაგრამ მე ისინი არ მაგონდებოდა. მიუგო ზიგლამ.

— მერე ეს როგორლა მოახერხე, რომ ტყავზე დასწერე და ხალხს შეატყობინე?

— რაკი საშველი არაფერი მიჩნდებოდა და ჩემი წაყვანის დღეც ახლოვდებოდა, სულ იმას ვფიქრობდი, თავი როგორმე მეხსნა ტყვეობისაგან. იქ საშუალებას მე ვერ-რას ვხედავდი, გარდა ერთისა: იმ სარდაფში გასასყიდი ტყავები ეწყო. ჩემდა სასიხარულოდ, ჯიბეში აღმომიჩნდა პატარა მელის ნაჭერი: მელს ჭონის შაგირდები საჭუდე ტყავების გასაზომად ვხმარობთ და ამიტომაც ყოველს ჭონის შეგირდს მუდამ ჯიბეში აქვს ხოლმე მელი. ტყავების ღაზლები დაეხსენი, თითო-თითოდ დავაცალკევე და, სადაც კი მოვახერხე, დავიწყე იმ ტყავების ზედა-პირზე, წერა: როგორ დავიკარგე, როდის, ვინ დამიჭირა და სხვა.

ვიცოდი, რომ იმ ტყავებს სოვლაგრები ჭონებში გაიტანდნენ გასასუიდად და ამ გვარად ჭონებიც შეიტყობდნენ ჩემს ამბავს. მე იმედი მქონდა, ამით მშველებოდა და დამეხსნა თავი ტყვეობისაგან... ასე მოვიფიქრე, დიდებულო მეფევ!

— აბა, შვილო! პატარაობისას წიგნს რომ არ სწავლობდი და სულ ცულლუ-ტობდი, დღეს რომ წიგნი არ გცოდნოდა, იმ ტყავებზედაც ხომ ვერ დასწერდი? ვინ იცის, გაჭირვებიდამ თავს იხსნიდი, თუ არა!... უთხრა ზიგლას დედამ.

— განა წიგნის სწავლა არ უყვარდა თქვენს შვილს? ჰკითხა სამეფო მსაჯულმა.

— არა, ბატონო, სულ ძალით ვასწავ-ლიდით; , ჩვენს სიტყვებს არ იგონებდა, განსაკუთრებით მის ბებიისას, მიუგეს ზიგ-ლას მშობლებმა.

— ვისთან სწავლობდა? ჰკითხა მეფემ.

— ანტონ კათალიკოზის საერო სკო-ლაში, დიდებულო მეფევ.

— ვინ იყო შენი მასწავლებელი? ჰკითხა  
მეფეებ ზიგლას.

— ჩემი მასწავლებელი პატერი ნიკოლა  
ტერ-სააკის შვილი და პავლე ხუცესი გახლ-  
დათ, ბატონო. უველანი კარგად მასწავლი-  
ლნენ, მაგრამ მე... არ ვმეტადინეობდი.

— მხლა ხომ დარწმუნდი, რომ წიგნის  
ცოდნა საჭირო ყოფილა კაცისთვის. აბა,  
რომ არ გცოდნოდა, დღეს თავს ხომ ვერ  
დაიხსნიდი გაჭირვებისაგან? დარიგების ხმით  
უთხრა მსაჯულმა.

— მხლა კი დაერწმუნდი, რომ უწიგნო  
კაცი ქვეყანაზე ადვილად დაიკარგება....  
ვმაღლობ ჩემს დედ-მამას, რომ იმათ მე  
სკოლაში მიმცეს! ვმაღლობ ჩემს მასწავ-  
ლებელსაც, რომელიც ყოველთვის იმას  
მეუბნებოდა, რომ გაკვეთილები კარგად  
მესწავლა. დღეს მე იმის დახსნილი ვარ!  
დღეს კი მჯერა ყველათერი. რასაც ის მა-  
რიგებდა. მჯერა ყველა ესენი და ამიტომ

მინდა ყველას მაღლობა გარდუხადო და ჩემს  
ცელქს ამხანაგებსაც ვუამბო, რომ უწიგნო  
კაცი მართლა ბრძანა ამ ქვეყანაზე!...

ამით გაათავა ზიგლამ.

სამეფო მუშრიბმა ყველა ესენი დასწერა.  
ზიგლა თავის მშობლებით შინ დაბრუნდა.  
ზრაში ყველგან სიხარულით ევებებოდნენ  
ზიგლას ნათესავები და ნაცნობები ულო-  
ცავდნენ, რომ დაკარგული შეილი იპოვნეს.

ასე კარგი დღეს და დღეს  
ასე კარგი დღეს ყველა.

— დღეს ასევე გვი-  
ორი გვი.

## IV

 აქმის გათავების შემდეგ მსაჯულმა შეადგინა განჩინება, ბოქაულთ-უხუ-  
ცესმა განიხილა, მეფემ დაასო სა-  
მეფო ბეჭედი და მისცეს ჭონის უსტაბაშს.  
უსტაბაშმა გავზარა ნარიყალის ციხის უხუ-  
ცესთან, რომ ზიგლას ოსტატი გაენთავის-  
უფლებინათ.

ზიგლას ოსტატისა და, საზოგადოდ, ყვე-  
ლას სიხარულს ბოლო არა ჰქონდა ამის  
გამოისიობით.

მეორე დღეს დილით ყველა იმ სოვ-  
დაგრებს სამეფო სამსჯავრომ რამდენიმე  
ოქრო ჯარიმა დაადო და რამდენიმე ხნი-  
თაც ნარიყალის ციხეში ჩასმა.

სოვდაგრებმა უარი განაცხადეს: ჩვენ  
ქართველები არა ვართ და ამიტომ ქარ-

თველი მეფეების კანონებით გასამართლება ჩვენი რჯულის წინააღმდეგიაო. ჩვენ ვითხოვთ, ჩვენი კანონის ძალით გავასამართლონო!

მეფე არ გაწყრა ამაზე. შეისმინა თათარ სოედაგრების ლაპარაკი, — კარგიო! უბრანა მეფემ და საჩქაროდ ნაზირ-ვეზირს მიმართა:

— წადით საჩქაროდ და ტფილისის მუფტს და მუდერის უთხარით, რომ თავიანთის ყადებით აქ მობრძანდნენ, „ურანი“ და სხვა წიგნებიც წამოილონ. უბრანა მეფემ.

— ზიახლებით, დიდებულო მეფევ, — მიუგო ნაზირმა და წავიდა საჩქაროდ.

თათარ-სოედაგრებმა მეფეს დიდის მორიდებით პატიობა სთხოვეს. ზზაზე ვდგევართ, ქარავანი გვიცდის, რომ წავიდნენ და აქ დავრჩეთ, დავიღუპებით. დიდ-ძალი საქონელი დაგვირჩება აქ და შეიძლება წაგვიხდეს კიდეცო.

— ნუ იქთ ასეთს საქმეს, დაანებეთ ხალ-  
ხის ტაციობას თავი და არ მოგივათ ასე.  
სხვის შვილს რომ იტაცებთ და მიღყავთ  
თანა, მათ პატრონებს რაღა პასუხს აძ-  
ლევთ?

— მე უნდა მეშვილა, დიდებულო მეფე. თქვენს მონათ გვიგულეთ, ფეხთა მტვრათა  
და დიდ სასჯელს ნუ დაგვადებთ. მოახსე-  
ნეს მეფეს.

— თქვენის „ურანის“ ძალით, რასაც  
გადასწყვეტენ ყადები, ის დაგედებათ. ჩემის  
მხრით ვეცდები, რომ მცირე იქმნეს თქვენი  
სასჯელი.

— შეიძლება ჩვენი სასჯელი ჩვენ ქვე-  
ყანაში გადავიხადოთ?

— არ ვიცი, ამას თქვენის სჯულის მო-  
სამართლენი გადასწყვეტენ. უბრძანა მეფემ.

ამ დროს მოვიდნენ მუდერის, მუფტი,  
ყადები, თან მოიტანეს „ურანი“. მეფემ  
ამათ სასჯელის შემსუბუქება დაავალა.

894.63

ქ 551

— მოსამართლენო! ესენი  
არიან, ქარავანი უცდისთ და ამიტ  
ვენ საქმის პატიებას, ანუ მცირე სასჯელს.  
უბრძანა მეფემ.

— რასაც „ურანი“ გვიბრძანებს, ჩვენ  
იმაზე მეტს ვერას დავადგენთ.

— აი, მე ჩემის მხრით, იმ დანაშაულო-  
ბას გაპატიებთ, რაც ქრისტიანულის წესით  
სასჯელი დაგდეთ. უბრძანა მეფემ.

— მხლა ჩვენ ვიცით, დიდებულო მე-  
ფეო. მოახსენეს მსაჯულებმა.

მეფე წამობრძანდა, მოსამართლეებმა  
საქმის გარჩევა დაიწყეს და სასტიკის წესით  
დასაჯეს სოედავრები.

იმათ ევონათ, რომ „ურანის“ ძალით  
შეგვიმსუბუქდება სასჯელიო; მაგრამ ის კ  
არა და, ერთი-ორათ გაუორკეცდათ.

1875

894.63

\$ 551